


EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია წინამდებარე დოკუმენტის ბოლოში

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დიდი პალატა

აკსუ თურქეთის წინააღმდეგ
CASE OF AKSU v. TURKEY

(განაცხადები nos. 4149/04 და 41029/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

15 მარტი 2012

წინამდებარე განჩინება საბოლოოა მაგრამ ის შეიძლება
დაექვემდებაროს რედაქტირებას.

საქმეზე Aksu თურქეთის წინააღმდეგ,

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა დიდი პალატის სახით შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატსა, პრეზიდენტი
ჟან ოლ კოსტა,
ჯოსეფ კასადევალ ,
ნინა ვიჯიც,
დიენ სპიელმანი,
კარელ ჯუნგვიერთ,
ანატოლი კოვლევ,
ელიზაბეთ ფურა, ,
ალვირა გრულუმიან
მარკ ვილიგერ,
პავი ჰირველა,
ლუიწ ლობეს გერრა,
მარინა ლაზაროვა ტრაიკოვსკა,
ნებოჟსა ვუჩინიჩ,
ისილ კარაკას,
ვინსენტ ა. დე აგეტანო,
ანგელიკა ნუბერგერ, მოსამართლეები,

და მაიკლ ო'ბოილი, რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა განმარტოებით 2011 წლის 2 აპრილს და 2012 წლის 1 თებერვალს.

და გამოიტანა წინამდებარე განჩინება, რომელიც მიიღო 2012 წლის 1 თებერვალს:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს მოქალაქე ბ-ნი მუსტაფა აკსუს მიერ ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ 2004 წლის 24

იანვარს და 4 აგვისტოს წარდგენილი ორ საჩივრიდან (nos. 4149/04 და 41029/04).

2. განმცხადებელი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით წარმოდგენილ იქნა ბ-ნი ესმერის, ანკარაში მოღვაწე ადვოკატის, მიერ. თურქეთის მთავრობა (შემდგომში "მთავრობა") წარმოდგენილი იყო აგენტის მიერ.

3. განმცხადებელი ჩიოდა რომ სამი პუბლიკაცია - წიგნი და ორი ლექსიკონი - რომლებიც დაფინანსებული იყო მთავრობის მიერ, მათში მოცემული მოსაზრებები და შენიშვნები მოიცავდა ბოშათა საწინააღმდეგო გამონათქვამებს. განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-8 მუხლის, მე-14 მუხლთან კავშირში, დარღვევას.

4. საჩივარი განსახილველად დაეწერა სასამართლოს მე-2 სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი). 2010 წლის 27 ივლისს სექციის პალატამ შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: ფრანსუაზა ტულკენსი: იერნეუ კაბრალ ბარრეტო, დანუტე კოჩინე დროგოლუზ პოპოვიჩი, ნონა წოწორია, ისილ კარაკასი და კრისტინა პარდალოს და აგრეთვე სტანლეი ნაისმიტ, რეგისტრატორის მოადგილის მონაწილეობით, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მოეხდინა საჩივრების გაერთიანება და დაადგინა ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის, მე-14 მუხლთან კავშირში, დარღვევას.

5. 2010 წლის 22 ნოემბერს განმცხადებლის 2010 წლის 25 ოქტომბრის თხოვნის შესაბამისად, დიდი პალატის კოლეგიამ გადაწყვიტა საქმის დიდი პალატაში გადაგზავნა კონვენციის 43-ე მუხლის საფუძველზე.

6. დიდი პალატის შემადგენლობა განსაზღვრულ იქნა კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, აგრეთვე სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად.

7. განმცხადებელმა და მთავრობამ, თითოეულმა, წარადგინა წერილობითი მოსაზრებები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით (59-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან ერთად, მესამე მხარის მოსაზრებები იქნა მიღებული საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორის მიერ, რომელიც დაშვებულ იქნა საქმეზე პრეზიდენტის მიერ (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

8. საქმის განხილვა გაიმართა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2011 წლის 13 აპრილს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

შემდეგი პირები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე:

(ა) მთავრობის მხრიდან

ბ-ნი მ. ოზმენი აგენტი

ქ-ნი ა. ემულერი

ბ-ნი უზუნ

ქ-ნი ნ.აკსოი

ბ-ნი ო. საიდან

ბ-ნი უ.კსუნგერ, ადვოკატი;

(ბ) განმცხადებლის მხრიდან

ბ-ნო ესმერ, ადვოკატი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ესმერის და ბ-ნი ოზმენის მიმართვები.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

9. განმცხადებელი რომელიც წარმოშობით ბოშაა დაიბადა 1931 წელს და ცხოვრობდა ანკარაში.

A. განაცხადი #4149/04

1. წიგნი "თურქეთის ბოშები" (Türkiye Çingeneri)"

10. 2000 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემულ იქნა წიგნის 3000 ეგზემპლარი სახელწოდებით "თურქეთის ბოშები", რომელიც დაწერილია ასოცირებული პროფესორის ალი რეფეტ ოზანის მიერ. მის გამოცემამდე, გამოცემათა მრჩეველთა საბჭომ დაამტკიცა წიგნის შინაარსი. წიგნის დასაწყისი იკითხება შემდეგნაირად:

“...

ბოშები მშვიდობიანად ცხოვრობენ დღეს თურქეთის ტერიტორიაზე, როგორც ეს ისტორიის განმავლობაში იყო, მაგრამ ახლა ისინი დარჩენილები არიან თავისთავად, რაიმე რეგულაციის, ზედამხედველობის თუ ყურადღების გარეშე. თურქული მხარის გამო დაურეგულირებელია ბოშების ცხოვრების წესი, როდესაც ისინი მიტოვებული არიან სრულად თავიანთი ბედის ანაბარა. ბოშათა არსებული უწესრიგო ცხოვრების წესი და ის ფაქტი, რომ მიჩნეულია რომ მიუხედავად საერთო ისტორიის ქონისა მათ დახურულ სამყაროში არ არის საჭირო ჩარევა, დამატებითი პრობლემას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი რომ მიუხედავად იმისა რომ ბოშები მართლაც ცხოვრობდნენ ჩვენში მრავალი წლის განმავლობაში, ისინი იდენტიფიცირდნენ ადგილობრივი ხალხის მიერ და იყვნენ მსხვერპლნი დამამცირებელი გამონათქვამების, რომლებიც უმეტესად ეხებოდა ბოშების გაუნათლებლობასა და ცრურწმენებს. უარყოფითმა პასუხებმა და დამამძიმებელმა ბრალდებებმა რომლებსაც ისინი აწყდებოდნენ გამოიწვიეს ბოშების, რომლებიც უკვე ცხოვრობდნენ გარე სამყაროსათვის დახურულ სოციალურ სტრუქტურაში, კიდევ უფრო ვიწრო სოციალურ გარემოში ცხოვრება.

ჩვენ ჩავთვალეთ რომ საჭირო იყო აღნიშნულ პირთა უცნობ სამყაროში შესვლა, ვინც ცხოვრობდნენ ჩვენში საუკუნეების განმავლობაში და ახლა გახდნენ თანამედროვე თურქული კულტურის ნაწილი. ჩემი მიზანი შესაბამისად, იყო მათი ახლოს გაცნობა ემპირიული მიდგომის გამოყენებით და თურქეთის ბოშების წარმოდგენა, ისე როგორც ისინი არიან, ყველა ასპექტში, სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპის საფუძველზე.

მოცემული კვლევა შედგება შესავლის და ორი ნაწილისგან.

შესავალი წარმოადგენს ინფორმაციას ბოშათა კონცეფციისა და მათი წარმოშობის შესახებ, მათ შორის დეტალურ ინფორმაციას მათი მიგრაციასთან დაკავშირებით და განიხილავს მათი თურქეთში ყოფნის ისტორიას, სხვადასხვა საარქივო დოკუმენტებსა თუ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით. პირველ ნაწილში განხილულია ბოშათა სოციო-კულტურული მახასიათებლები ფართო გაგებით. მოცემული ნაწილი კონკრეტულად განიხილავს ბოშათა ოჯახურ ცხოვრებასა და მგზავრობას, მათ მუსიკას, ცეკვას, ენას, ტრადიციებს და

ჩვეულებებს. მეორე ნაწილი განიხილავს ბოშათა რწმენებს და საქმიანობას.

მოცემული კვლევა - რომელსაც მე წარმოგიდგეთ რაიმე სახის პრეტენზიის გარეშე, მხოლოდ არსებული მნიშვნელოვანი ცარიელი ადგილის ამოსავსებად (ეს გახლათ პირველი კვლევა ასეთი სახის) და ბოშათა თემაზე მომუშავეთათვის მომავალში მიმართულების მისაცემად - მომზადებულ იქნა აღწერილობითი, შედარებითი და ფენომენალურ-ლოგიკური, მათ შორის მონაწილე დაკვირვებისა და ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით.

...

11. ამასთან ერთად ავტორმა განაგრძო და განაცხადა რომ:

“...ბოშები გაფანტულები არიან მთელს მსოფლიოში, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მათი სტატუსის, მარგინალური ჯგუფისგან თავის დაღწევა რამაც გამორიცხა და მოძულებული გახადა ყველგან. მათი ცხოვრების წესში განსხვავებების გარდა. მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე მეტად უდავოდ განასხვავებენ ბოშებს სხვებისგან არის მათი კანონის ფერი, რომელიც უფრო მუქია, დიდი შავი (ზოგჯერ ყავისფერი ან ლურჯი) თვალებით და გრძელი თხელი წამწამებით; მამაკაცებთ აქვთ გრძელი ულვაშები. პატარა პირი, ელეგანტური, თეთრი კბილებით და მომრგვალებული ყბით. მათ აქვთ ვიწრო შუბლი და წარბები და პატარა თავის ქალა. მათი თმა დახვეული, შავი და ხშირია. საშუალო ასაკის მიღწევის შემდგომ ქალები სრული და მსუქნები არიან. ახალგაზრდები გამხდრები არიან ეფექტური და ძლიერი კუნთებით (იხილეთ კარმენი, პროსპერ მერიმე, ჩვენი და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან ბოშათა ისტორიები ტაჰირ ანალგუს მიერ)

...

მოცემული კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ბოშათა იდენტობა, ანუ იმ ხალხის, რომელიც ჩვენში ცხოვრობდა საუკუნეების განმავლობაში და ვინც იქცნენ თანამედროვე თურქული კულტურის შემადგენელ ნაწილად, მაგრამ რომლის შესახებაც არც ერთი თანამედროვე საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა არ განხორციელებულა, რადგან მათი კულტურული იდენტობა დიდ ნაწილში იგნორირებულ იყო მათი იდენტიფიცირების და განსაზღვრის სირთულეების გამო. მოცემული კვლევა გაითვალისწინებს მათ სოციო-კულტურულ მახასიათებლებს, რწმენებს და მითებს, ფესტივალებს და სხვა დღესასწაულებს მათი ყველა ასპექტით.

მოცემული კვლევის მიზნებისათვის წინასწარი ანალიზი განხორციელდა ბოშების შესახებ თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მოპოვებული ინფორმაციის, დოკუმენტაციისა და მასალების საფუძველზე. პირველ ეტაპზე განხორციელდა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის იდენტიფიცირება, შემდეგ განხორციელდა მათი კლასიფიკაცია სამეცნიერო სანდოობის მიხედვით, შესაბამისი სანდოობის კრიტერიუმის გამოყენებით. შემდგომში, მონაწილეთა დაკვირვების საფუძველზე განხორციელდა ემპირიული კვლევა ბოშა მოსახლეობასთან ერთად ცხოვრების გზით. ვიზიტები განხორციელდა თურქეთის ყველა ტერიტორიაზე სადაც ბოშები ცხოვრობენ - როგორც მომთაბარე, ისე დამკვიდრებულები - და ამ გზით განხორციელდა მცდელობა დადგენილიყო ფაქტები მათი ცხოვრების, ტრადიციების, რწმენების, აღმსარებლობის ფორმების და პრაქტიკის შესახებ არა მარტო ინფორმაციის, დოკუმენტების ან სხვა მასალების მოგროვების, არამედ ემპირიული მეთოდის გზით, რომელიც გულისხმობდა მათთან ერთად ცხოვრებას.“

12. მოცემული წიგნში ავტორი უთმობს თავს „თანამედროვე თურქეთში ბოშათა ცხოვრებას.“ მოცემულ თავში მან აღნიშნა:

“თანამედროვე ბოშები გაფანტული არიან თურქეთის მთელ ტერიტორიაზე. ისინი ძირითადად ცხოვრობენ მარმარას, აეგანის და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში, მცირე კონცენტრაციით შავი ზღვის, ცენტრალური ანატოლიის და სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებში. ბოშათა დისტრიბუცია თურქეთში განხილული იქნება აქ.

...

ამ დრომდე ზოგადი მოსახლეობის აღწერა არ მოიცავს ცალკე ჩანაწერებს ბოშების შესახებ; შესაბამისად, ბოშა მოსახლეობის რაოდენობა თურქეთში დარწმუნებით არ არის ცნობილი. იმის მაგივრად რომ გამოგვეყენებინა დაახლოებითი მონაცემები, ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია თავად ბოშებისგან, ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისა და ადგილობრივი ადმინისტრატორების მხრიდან. ჩვენ ვეცადეთ დაგვეზუსტებინა აღნიშნული ინფორმაცია ოლქის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ოლქის მოსახლეობის შესახებ ციფრებთან შედარებით.

...

სტამბული

...

ბოშები, რომლებიც ცხოვრობენ სტამბულის პროვინციულ საზღვრებთან, ძირითადად საცხოვრებელ რესურსებს შოულობენ მუსიკით, ყვავილების გაყიდვით, ჯართის ჩაბარებით, ნაგვის და ქაღალდის შეგროვებით, მჭედლობით, ავეჯის შეღებვით, დასუფთავებით, ცხენთან მუშაობით, მათხოვრობით და კარ და კარ გაყიდვით. არიან, თუმცა მცირედ, რიგი მათგანი ვინც ცხოვრებისთვის საჭირო ფულს აგროვებენ ჯიბის ქურდობით, ქურდობით და ნარკოტიკების გაყიდვით.

ტეკირდაგი

...

ტეკირგადის ბოშები ცხოვრებისთვის ფულს შოულობენ მუსიკის დაკვრით, კარების გაღებით (პორტიე) და ფეხსაცმლის გაპრიალებით. ქალბატონები მუშაობენ ადგილობრივ დამლაგებლებად და ადგილობრივი აგურების ქარხანაში აგურების შეგროვებით. ისინი, ვინც კორლუში ან ლულეზურგაზში ცხოვრობენ ფულს შოულობენ მუსიკის დაკვრით, კარების გაღებით (პორტიე), ცხენების გაყიდვით, სამშენებლო სამუშაოებით და ლატარიის გათამაშებით და ქალბატონები ფულს შოულობენ დასუფთავების გზით.

კირკლარელი

...

კირკლარელის ბოშები ძირითადად ფულს შოულობენ მუსიკის დაკვრით, ცხენებთან მუშაობით, გარე ვაჭრობით, კარის გაღებით (პორტიე), დასუფთავებით და ჯართის შეგროვებით.

...

ისინი ვინც ქალაქ ედირნეს ცენტრში ცხოვრობენ საცხოვრებელ ფულს შოულობენ მეჯინიბეობით, ჯართის შეგროვებით, გარე ვაჭრობით, ხოლო ქალბატონებს ოჯახში შემოაქვთ დასუფთავების გზით. თითქმის ყველა მოსახლე კესანის ოლქის იუკარი ზაფერიელიდან საცხოვრებელ ფულს შოულობენ მუსიკის დაკვრით. მათი ნაწილი მუშაობს სხვა სფეროებში, როგორცაა ბრინჯის ნათესების დამუშავება, სამშენებლო ობიექტებზე მუშაობა, კარების გაღება (პორტიე), ცხენებთან მუშაობა, ბაყაყების შეგროვება, ჯართის შეგროვება, ქაღალდის შეგროვება, სახლების შეღებვა და სიმიტ-ის (პურის ნაირსახეობა) გაყიდვა. ისინი ვინც უზუნკოპრში ცხოვრობენ საცხოვრებელ ფულს შოულობენ

მეტალის ჯართის შეგროვებით, მჭედლობით და კალათების დამზადებით.

...

ანკარა

...

ანკარის ცენტრალური ნაწილის ბოშები საცხოვრებელ ფულს შოულობენ, ქურდობით, მათხოვრობით, კარ და კარ გაყიდვებით, მკითხაობით, ზერცილიკ-ით (საიუველირო მალაზიების გაქურდვით). მცირე ნაწილი აგრეთვე დაკავებულია მჭედლობით, ტყავის მასალის დამზადებით, საცერების და კალათების დამზადებით. არის ბევრი მათგანი, ვინც მუშაობს მუსიკოსებად ღამის კლუბებში. არის ინფორმაცია რომ უმრავლესობა ვინც ვაჭრობს რკინეულობით ალტინგადის და ჰამამონუს გარშემო არიან კანკირელი ბოშები.

...

ჩვენ შევეცადეთ ვწვეულებით ყველა იმ რაინში სადაც ბოშები ცხოვრობენ. ციფრები, რომლებიც ჩვენ წარმოვადგინეთ თითოეული ოლქის მიხედვით ეფუძნება შედარების ინფორმაციას, ბოშების მიერ წარმოდგენილი ციფრების გაზვიადების გათვალისწინებით და ოლქის უფროსებთან (მუჰტარ) და სადაც საჭიროა ოლქის პოლიციასთან საუბრის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.“

ზემოთ მოცემული მგავსი შენიშვნები წარმოდგენილ იქნა ბოშებთან დაკავშირებით, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთის სხვა ნაწილებში, როგორიცაა იზმირი, მანისა, კონია, ადანა და ნატალია.

13. „თურქეთის ბოშების“ დასკვნის ბოლო პუნქტის მიხედვით:

“ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირი ბოშებს შორის არის მათი ოჯახური და სოციალური სტრუქტურა და მათი ტრადიციები. მიუხედავად იმისა რომ ისინი ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას მრავალი ათასი წლის განმავლობაში, მათ შეძლეს დაეცვათ საკუთარი ცხოვრების ტრადიციები ჯგუფის შიგნით ქორწინების პრაქტიკის დამსახურებით. მათი მიჯაჭვულობა ამ ტრადიციების მიმართ იწყება დაბადებიდან და გრძელდება გარდაცვალებამდე. ექვს გარეშეა რომ ტრადიციები არის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი ბოშის ცხოვრების წესში. უფროსი ასაკის ბოშებს ეკისრებათ მძიმე ტვირთი ტრადიციების დაცვის და შენარჩუნების თვალსაზრისით. ამავე დროს, ცვალებადი პირობებისა და საჭიროებების გამო, ბოშების სოციალური სტრუქტურა რთულად

შესანარჩუნებელი გახდა. კერძოდ, “ატია”, ეს ერთი კონკრეტული სოციალური სტრუქტურა ვეღარ შენარჩუნდება თანამედროვე თურქეთში.

ყველაზე აღსანიშნავი მახასიათებელი ბოშებისათვის არის მათი ცხოვრების წესი. თუმცა სოციო-კულტურული საქმიანობის ყველა მიმართულება, როგორცაა მიგრაცია და დასახლება, ცეკვა, მუსიკა, ენა, კვება და დაღევა, წინასწარმეტყველება, წარმოადგენს ბოშის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. უნდა ითქვას რომ ყველაფერი ეს ქმნის აისბერგის ხილვად წვერს. სხვა პირები ამოიცნობენ ბოშებს სწორედ ამ ფენომენის გზით. ამასთან ერთად, ბოშების გაცნობის რეალური გზა არის მათ საზოგადოებაში ყოფნა, რათა მოხდეს მათი ტრადიციების და რწმენების სრული გაანალიზება. ბოშების საიდუმლო ცხოვრება გამოვლინდება მათ რწმენებში, კერძოდ მათ ცრურწმენებში და ტაბუებში.

ბოშები, როგორც ყველა სხვა, ხედავენ საჭიროებას მათი რწმენის აღსრულებაში. იმ ქვეყნის რელიგიის მიღებასთან ერთად სადაც ისინი ცხოვრებენ, ისინი აგრეთვე ინარჩუნებენ მათი კულტურისთვის ტრადიციულ რწმენებს. შედეგად, შეიძლება ითქვას რომ ბოშებს აქვთ მათი რწმენიდან მომდინარე სრულყოფილი დღესასწაულები, რაც შეიძლება ნაწილობრივ მიკვლეულ იქნას ინდუიზმში.

ჩვენი მოსაზრებით ეს ხალხი, რომლებიც განიცდიან შეურაცხყოფას ან გარიყვას სხვაგან შეიძლება გარდაიქმნან მოქალაქეებში, რომლებიც არიან მონაპოვარი ჩვენი სახელმწიფოსა და ერისათვის, მაშინ როდესაც გადაწყდება მათი განათლების, სოციალური, კულტურული და სამედიცინო პრობლემები. ეს მარტივად გულისხმობს ამ საკითხისათვის მოთმინებით და მონდომებით ყურადღების მიქცევას.“

2. განმცხადებლის მიერ ეროვნულ დონეზე აღძრული სამართალწარმოება

14. 2001 წლის 15 ივნისს განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი კულტურის სამინისტროში თურქეთის ბოშათა ასოციაციის სახელით. აღნიშნულ საჩივარში მან აღნიშნა რომ წიგნში ავტორმა მიუთითა რომ ბოშები ჩართულები იყვნენ უკანონო საქმიანობაში, ცხოვრობდნენ რა როგორც „ქურდები, ჯიბის ქურდები, თაღლითები, მძარცველები, მევახშეები, მათხოვრები, ნარკოტიკის

მოვაჭრეები, პროსტიტუტები და ბორდელის მფლობელები“ იყვნენ პოლიგამები და აგრესიულები. განმცხადებელმა აგრეთვე აღნიშნა რომ წიგნი აგრეთვე მოიცავდა რამდენიმე სხვა შენიშვნას, რომლებიც ამცირებდნენ და აკნინებდნენ ბოშებს. აცხადებდა რა რომ მოცემული შენიშვნები წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს, მან მოითხოვა რომ აღნიშნული წიგნის გაყიდვა შეჩერებულიყო და მომხდარიყო გაყიდულის ამოღება.

15. იმავე დღეს, კულტურის სამინისტროს გამომცემლობების ხელმძღვანელმა გასცა განკარგულება, რომ დარჩენილი 299 წიგნის ასლი დაბრუნებულიყო გამომცემლობის განყოფილებაში.

16. 2001 წლის 11 ოქტომბერს განმცხადებელმა კითხვით მიმართა სამინისტროს იმასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნა თუ არა გაყიდვიდან წიგნის ასლები.

17. 2001 წლის 17 ოქტომბერს კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა განყოფილებამ აუწყა განმცხადებელს რომ სამინისტროს გამომცემლობათა მრჩეველთა საბჭომ, რომელიც შედგება შვიდი პირისაგან, გადაწყვიტა რომ წიგნი იყო სამეცნიერო კვლევის შედეგი და არ შეიცავდა რაიმე დამამცირებელ ან მსგავს გამონათქვამებს. განმცხადებელს აგრეთვე ეცნობა რომ წიგნის ავტორი არ დათანხმდებოდა წიგნის ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანას და ავტორის თხოვნის საფუძველზე სამინისტრომ საავტორო უფლებები გადასცა მას.

18. 2002 წლის 4 თებერვალს განმცხადებელმა გააგზავნა წერილი კულტურის სამინისტროში და ასოცირებულ პროფესორ ალი რეფეტ ოზკანთან, მისი თავდაპირველი მოთხოვნის გამეორებით. მას არ მიუღია არანაირი პასუხი.

19. ამის შემდეგ, 2002 წლის 30 აპრილს, განმცხადებელმა საკუთარი სახელით შეიტანა საჩივარი ანკარის ზოგადი განსჯადობის სამოქალაქო სასამართლოში კულტურის სამინისტროს და წიგნის ავტორის წინააღმდეგ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან მიიღო წიგნში მოცემული გამონათქვამების შედეგად. იგი ამტკიცებდა რომ წიგნში მოცემული გამონათქვამები წარმოადგენდა მისი, როგორც ბოშის იდენტობის წინააღმდეგ თავდასხმას და იყო შეურაცხმყოფელი. მან აგრეთვე მოითხოვა წიგნის ასლების კონფისკაცია და მისი გამოცემის და დისტრიბუციის აკრძალვა.

20. წიგნის ავტორმა თავის შეპასუხებაში აღნიშნა რომ მისი წყარო გახლდათ ადანის პოლიციის მონაცემები, სხვა ავტორების მიერ

ბოშებზე დაწერილი წიგნები და მას არ ქონია არანაირი განზრახვა შეურაცხყოფა მიეყენებინა ან დაემცირებინა ბოშები. ავტორმა დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული წინადადებები არ უნდა იქნეს განხილული იზოლირებულად, არამედ მთლიანი წიგნის კონტექსტში.

21. 2002 წლის 24 სექტემბერს, ანკარის სამოქალაქო სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებული იყო წიგნის ავტორთან. მან მიიჩნია რომ წიგნი იყო აკადემიური კვლევის შედეგი, დაფუძნებული იყო სამეცნიერო ინფორმაციაზე და მასში განხილულ იქნა ბოშების სოციალური სტრუქტურა თურქეთში. პირველი ინსტანციის სასამართლომ შესაბამისად დაადგინა რომ განსახილველი მოსაზრებები არ შეურაცხყოფდნენ განმცხადებელს. რაც შეეხება განმცხადებლის საქმეს სამინისტროს წინააღმდეგ, სამოქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა რომ იგი მოკლებული იყო განსჯადობას და ხსენებული საკითხის განხილვის კომპეტენცია გააჩნდათ ადმინისტრაციულ სასამართლოებს.

22. 2002 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება. აღნიშნულ საჩივარში მან განაცხადა რომ წიგნი არ შეიძლება განხილული ყოფილიყო როგორც სამეცნიერო ნაშრომი და შესაბამისად კულტურის სამინისტროს ის არ უნდა გამოეცა.

23. 2003 წლის 21 აპრილს საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან აღნიშნა რომ მოსაზრებები, რომლებიც გასაჩივრდა განმცხადებლის მიერ გახლდათ ზოგადი ხასიათის. შესაბამისად ეროვნულმა სასამართლომ ვერ იპოვა რაიმე საფუძველი, რათა დაედგინა რომ ისინი ეხებოდა ყველა ბოშას ან რომ ისინი წარმოადგენდნენ თავდასხმას განმცხადებლის იდენტობაზე.

24. 2003 წლის 8 დეკემბერს განმცხადებლის მოთხოვნა გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ უარყოფილ იქნა.

25. შესაბამისად, დაუდგენელ თარიღში განმცხადებელმა დაიწყო პროცედურები კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ ანკარის ადმინისტრაციულ სასამართლოში. მან მოითხოვა მორალური ზიანის კომპენსაცია, აცხადებდა რა რომ წიგნის შინაარსი რომელიც გამოცემულ იქნა კულტურის სამინისტროს მიერ, ბოშა საზოგადოების შეურაცხყოფელი იყო. 2004 წლის 7 აპრილს ადმინისტრაციულმა სასამართლო უარყო განმცხადებლის საქმე.

მან დაადგინა რომ წიგნის გამოცემამდე, იგი შესწავლილ იქნა მომხსენებლის მიერ რომელიც დაინიშნა გამომცემლობათა მრჩეველთა საბჭოს მიერ. მისი დადასტურების შემდეგ გამომცემლობათა მრჩეველთა საბჭო დათანხმდა მის გამოცემას. განმცხადებლის საჩივრის ფონდის მრჩეველთა საბჭომ, რომელიც შედგება შვიდი პროფესორისაგან კვლავ შეისწავლა წიგნი 2001 წლის 25 სექტემბერს და გადაწყვიტა რომ იგი გახლდათ აკადემიური კვლევა დაფუძნებული სამეცნიერო ანალიზზე და არანაირი უხერხულობა არ შეიქმნებოდა მისი დისტრიბუციით თუ გაყიდვით. ადმინისტრაციულმა სასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ განმცხადებლის საჩივრები უსაფუძვლო იყო. განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია მოცემული გადაწყვეტილება.

B. განაცხადი #41029/04

26. 1991 და 1998 წლებში ენის ასოციაციამ, არასამთავრობო ორგანიზაციამ, გამოსწა ორი ლექსიკონი „თურქულის ლექსიკონი სკოლის მოსწავლეებისთვის“ (Öğrenciler için Türkçe Sözlük) და „თურქულის ლექსიკონი“ (Türkçe Sözlük). მათი სათაურების გარდა ორივე ლექსიკონს ჰქონდა ზუსტად იგივე შინაარსი. მოცემული ლექსიკონების გამოცემა ნაწილობრივ დაფინანსებული იყო კულტურის სამინისტროს მიერ.

27. 2002 წლის 30 აპრილს განმცხადებელმა გააგზავნა წერილი ენის ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში ბოშათა კულტურულ ასოციაციების კონფედერაციის სახელით. გაგზავნილ წერილში განმცხადებელი აღნიშნავდა რომ ლექსიკონების რიგი მონაცემები გახლდათ შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ბოშათა მიმართ.

28. ორივე ლექსიკონის 279-ე გვერდზე შემდეგი მონაცემები ჩაიწერა სიტყვა „ბოშასთან“ (çingene) დაკავშირებით:

“ბოშა” (çingene): 1. ეთნიკური ჯგუფი ან პირი რომელიც ეკუთვნის ეთნიკურ ჯგუფს წარმოშობით ინდოეთიდან, რომელთა წარმომადგენლები ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრების წესს და ფართოდ გავრცელდნენ მსოფლიოში. 2 (მეტაფორულად) ძუნწი.

“ბოშის ვალი” (Çingene borcu): ნაკლებად მნიშვნელოვანი ვალი, რომელიც შედგება რამდენიმე მცირე ვალისგან.

“ბოშა უკრავს ქურთულ ცეკვებს” (Çingene çalar Kürt oynar): ადგილი სადაც ბევრი ალიაქოთი და ხმაურია.

“ბოშათა კარავი” (Çingene çergesi) (მეტაფორულად): ჭუჭყიანი და ღარიბი ადგილი.

“ბოშათა ქორწილი” (Çingene düğünü): ხალხმრავალი და ხმაურიანი შეხვედრა.

“ბოშათა ჯგუფი” (Çingene kavgası): სიტყვიერი ორთაბრძოლა ვულგარული ენის გამოყენებით

“ბოშის ფული” (Çingene parası): მონეტები.

“ბოშის ვარდისფერი” (Çingene pembesi): ვარდისფერი.

“ბოშის ენა” (çingenecce): ენა რომელსაც ბოშები იყენებენ.

“ბოშობა” (çingenelik): 1. ბოშად ყოფნა 2. (მეტაფორულად) ძუნწობა ან ხარბობა.

“ბოშად გახდომა” (Çingeneleşmek): ძუნწი ქცევის გამოჩენა.

29. განმცხადებლის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ განმარტებები ატარებდნენ ბოშათა საზოგადოების ნეგატიურ, დისკრიმინაციულ და წინასწარ ცუდად განწყობილ ხასიათს. განმცხადებელმა აგრეთვე აღნიშნა რომ განათლების სამინისტრომ და თურქეთის ენის საზოგადოებამ შეცვალეს მათი ლექსიკონები მისი თხოვნის საფუძველზე, შესაბამისად ამის მსგავსად ის თხოვდა ენის ასოციაციას შეეცვალა ზემოაღნიშნული განსაზღვრებები და ამოეღო დისკრიმინაციული გამონათქვამები ლექსიკონიდან. განმცხადებელს არ მიუღია პასუხი გაგზავნილ წერილზე.

30. ამის შემდეგ 2002 წლის 15 ივლისს განმცხადებელმა დამატებითი წერილი გაუგზავნა ენის ასოციაციას, მისი თხოვნის გამეორებით. მან დაამატა, რომ ის შეიტანდა საჩივარს ენის ასოციაციის წინააღმდეგ თუ მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა 2002 წლის 20 აგვისტოსათვის.

31. 2003 წლის 16 აპრილს განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი ანკარის ზოგადი განსჯადობის სამოქალაქო სასამართლოში ენის ასოციაციის წინააღმდეგ, ზემოაღნიშნული განმარტებების და დეფინიციების ლექსიკონიდან ამოღების მოთხოვნით. განმცხადებელი ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას იმ ზიანისთვის რომელიც მას მიაღება ლექსიკონში არსებული გამონათქვამების შედეგად. ამასთან კავშირში განმცხადებელი აღნიშნავდა რომ ლექსიკონში მოცემული განმარტებები

წარმოადგენდა მის, როგორც ბოშური იდენტობის მქონე პირის, და მისი პიროვნების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმას.

32. საპასუხო კომენტარებში ენის ასოციაცია ინარჩუნებდა პოზიციას რომლის მიხედვით, ინტერ ალია, ლექსიკონებში მოცემული დეფინიციები და გამონათქვამები ეფუძნებოდა ისტორიულ და სოციოლოგიურ რეალობას და არ არსებობა ეთნიკური ჯგუფის შეურაცყოფის განზრახვა. ასოციაციამ დამატებით აღნიშნა რომ ლექსიკონები შეიცავდნენ გამონათქვამებს და დეფინიციებს რომლებიც ფართედ გამოიყენებოდა საზოგადოებაში და თურქულში იყო სხვა მსგავსი გამონათქვამები, რომლებიც ეხებოდა ალბანელებს, ებრაელებს და თურქებს.

33. 2003 წლის 16 ივლის ანკარის სამოქალაქო სასამართლომ უარყო განმცხადებლის საჩივარი. სასამართლომ დაადგინა რომ დეფინიციები და გამონათქვამები ლექსიკონებში დაფუძნებული იყო ისტორიულ სა სოციოლოგიურ რეალობაზე და არ არსებობდა მოცემული ეთნიკური ჯგუფის შეურაცყოფის თუ დამცირების რაიმე განზრახვა. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ იყო მსგავსი გამონათქვამები თურქულში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემული იყო ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში.

34. განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა. 2004 წლის 15 მარტს საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2003 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

A. სამოქალაქო კოდექსი

35. სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით:

“ნებისმიერი პირს, ვისი უფლებებიც უკანონოდ იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოცემული შეზღუდვისგან დასაცავად.

უფლებების შეზღუდვა უკანონოა გარდა იმ შემთხვევებისა თუ ის დასაბუთებულია იმ პირის თანხმობით ვის უფლებებსაც ეს ეხება ან აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი კერძო ან საჯარო ან კანონიერი ინტერესების გამო.“

ამასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით:

“მომჩივანს შეუძლია სთხოვოს მოსამართლეს უფლებების შეზღუდვის საშიშროების პრევენცია მიმდინარე შეზღუდვის გაუქმების გზით ან მოცემული შეზღუდვის უკანონოდ გამოცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შეზღუდვა აღარ მოქმედებს.

აღნიშნულ მოქმედებასთან ერთად მომჩივანმა შეიძლება მოითხოვოს რომ გამოსწორება ან გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ან ჩაბარდეს მესამე პირს.

...”

B. სისხლის სამართლის კოდექსი

36. ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით:

“...

ნებისმიერი პირი რომელიც წააქეზებს სხვებს შუღლისკენ ან მტრობისკენ სოციალური კლასის, რასის, რელიგიის, აღმსარებლობის ან რეგიონის განსხვავებების საფუძველზე, მსჯავრდების შემთხვევაში შეეფარდება ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და ჯარიმით ცხრა ათასიდან და ოცდა ექვსი ათასამდე ლირით. თუ ეს წაქეზება საფრთხეს უქმნის საჯარო უსაფრთხოებას, სასჯელი უნდა გაიზარდოს ერთი მესამედიდან და ერთ ნახევრით.“

37. 2005 წლის 1 ივნის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (კანონი #5237). ახალი კოდექსის 216 მუხლის თანახმად:

“1. ნებისმიერი პირი რომელიც ახდენს საჯარო პროვოცირებას და აღვივებს შუღლს ან მტრობას საზოგადოების ერთ ჯგუფში მორე ჯგუფის მიმართ, და ხსენებული ხორციელდება ისეთ საფუძველზე როგორც არის სოციალური წარმომავლობა, რასა, რელიგია, სექტის თუ რეგიონულ განსხვავება, რაც აშკარა და გარდაუვალ საფრთხეს უქმნის საჯარო წესრიგს, უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე.

2. ნებისმიერი პირი, რომელიც საჯაროდ შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოების ნაწილს სოციალური წარმოშობის, რასის, რელიგიის, სექტის, გენდერის ან რელიგიური განსხვავებების

საფუძველზე უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

...”

III. რასიზმის და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპული კომისიის (ECRI) დოკუმენტები

38. მის მეოთხე ანგარიშში თურქეთის შესახებ (ECRI (2011)5), რომელიც გამოქვეყნდა 2011 წლის 8 თებერვალს, ECRI მიესალმა იმ ფაქტს, რომ იმისათვის რათა უარყოფილი ყოფილიყო ნეგატიური სტერეოტიპები, გამონათქვამები რომლებიც შეიძლება მიჩნეულიყო დისკრიმინაციული ლექსიკონებში „ბოშის“ დეფინიციასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნა. მან დამატებით მოუწოდა თურქეთის ხელისუფლებას განაგრძონ და გააძლიერონ საქმიანობა ბოშას ნეგატიური სტერეოტიპების დასამარცხებლად ბოშა საზოგადოებასთან კონსტრუქციული დიალოგის ასაშენებლად.

39. მის ზოგად პოლიტიკის რეკომენდაციაში No. რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის დამარცხების შესახებ სკოლებსა და სასკოლო განათლებაში, მიღებულს 2006 წლის 15 დეკემბერს ECRI აგრეთვე გასწია რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის რათა მათ უზრუნველყონ რომ სასკოლო განათლებამ ითამაშოს საკვანძო როლი საზოგადოებაში რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სკოლის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების წახალისებაში და მათ გაძლიერებაში აუცილებელი უნარ ჩვევებით რათა იცოდნენ და რეაგირება მოახდინონ სტერეოტიპებზე ან შეუწყნარებლობის ელემენტებზე იმ მასალებში, რომლებსაც ისინი იყენებენ.

სამართალი

I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

40. განმცხადებელის მოსაზრებით წიგნი „თურქეთის ბოშები“ და 26-28 პუნქტში მითითებული ლექსიკონები შეიცავდა გამონათქვამებს და დეფინიციებს, რომლებიც შეურაცხყოფდნენ ბოშის იდენტობას.

41. მთავრობა არ დაეთანხმა ამ პრეტენზიას.

A. რამდენად უნდა იქნეს განხილული საჩივრები კონვენციის მე-8 მუხლთან, ან მე-8 მუხლთან და მე-14 მუხლთან (ერთობლიობაში) მიმართებაში

42. დიდი პალატა აღნიშნავს რომ პალატამ განიხილა განმცხადებლის საჩივრები კონვენციის მე-8 მუხლთან, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, მიმართებით. შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 8

„1 ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად..“

მუხლი 14

„ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად..“

43. დიდი პალატა იმეორებს, რომ სტრასბურგის სასამართლოს იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივ კანონმდებლობისა თუ საქმის გარემოებების შეფასებასთან დაკავშირებით და არ არის შეზღუდული განმცხადებლისა თუ მთავრობის მოსაზრებებით (იხილეთ Scoppola v. Italy (no. 2) [GC], no. 10249/03, § 54, 17

სექტემბერი 2009). კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის დისკრიმინაცია გულისხმობს ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე პირების რელევანტურად მსგავს პირობებში განსხვავებულად მოპყრობას. ვერ იქნება ვერანაირი ობიექტური და გონივრული დასაბუთება თუ განსხვავებული მოპყრობა არ ეფუძნება „კანონიერ მიზანს“ ან არ არსებობს გონივრული კავშირი პროპორციულობის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (იხილეთ, ზევრ სხვა წყაროებთან ერთად D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, § 175, ECHR 2007 IV, da Burden v. the United Kingdom [GC], no. 13378/05, § 60, ECHR 2008 ...).

44. სასამართლო მიიჩნევს რომ დისკრიმინაცია *inter alia*, პირის ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით არის რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა. რასობრივი დისკრიმინაცია აშკარად საძულველი ფორმაა დისკრიმინაციის და მისი საშინელი შედეგების თვალსაზრისით მოითხოვს ხელისუფლების ორგანოებიდან სპეციალურ ყურადღებასა და ეფექტიან რეაგირებას. ამიტომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება რასიზმის დასამარცხებლად, კერძოდ საზოგადოების დემოკრატიული შეხედულებების გაძლიერებით, სადაც მრავალფეროვნება არ მიიჩნევა საფრთხედ, არამედ სიმდიდრის წყაროდ (იხილეთ Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 da 43579/98, § 145, ECHR 2005 VII, da Timishev v. Russia, nos. 55762/00 da 55974/00, § 56, ECHR 2005 XII). სასამართლო დამატებით აღნიშნავს რომ მათი ტურბულენტური ისტორიისა და განგმობადი დევნის შედეგად ბოშა მოექცა სპეციფიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ და მოწყვლად უმცირესობად. როგორც სასამართლომ აღნიშნა წინა საქმეში, ისინი მოითხოვენ სპეციალურ ყურადღებას. (იხილეთ D.H. and Others, ზემოხსენებული საქმე, 182-ე პუნქტი).

45. სასამართლო აღნიშნავს რომ მოცემულ საქმეში განმცხადებელი, რომელიც არი ბოშა წარმოშობის, ამტკიცებდა რომ წიგნი და ორი ლექსიკონი, რომლებმაც მიიღეს მთავრობის დაფინანსება, შეიცავდნენ შენიშვნებს და გამონათქვამებს, რომლებიც მიმართული იყო ბოშების წინააღმდეგ. სასამართლომ მიიჩნია რომ მოცემული განცხადებები გახლდათ თავდასხმა მის ბოშა წარმომავლობაზე. ამის მიუხედავად, სასამართლოს მიაჩნია რომ საქმე არ ეხება განსხვავებულ მოპყრობას და კონკრეტულად

ეთნიკურ დისკრიმინაციას, რადგან განმცხადებელი არ დაეთანხმა წარმოადგინა რა *prima facie* მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც განხილულ გამოცემებს ქონდათ დისკრიმინაციული განზრახვა ან ეფექტი. საქმე, შესაბამისად, ვერ იქნება შედარებული სხვა საჩივრებთან, რომლებიც წარდგენილ იქნა ბოშა საზოგადოების სხვა წევრების მიერ (იხილეთ, განათლებასთან დაკავშირებით, D.H. and Others, ზემოხსენებული საქმე, §§ 175-210; საცხოვრებელთან დაკავშირებით, Chapman v. the United Kingdom [GC], no. 27238/95, § 73, ECHR 2001 I; და, არჩევნებთან დაკავშირებით, Sejdić and Finić v. Bosnia and Herzegovina [GC], nos. 27996/06 და 34836/06, § 45, 22 დეკემბერი 2009). შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ძირითადი საკითხი გახლავთ ის თუ რამდენად წარმოდგენილი გამოცემები, რომლებიც შესაძლოა ითვალისწინებენ რასობრივ შეურაცხყოფებს, წარმოადგენდნენ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას და თუ ეს ასეა, რამდენად ეს შეზღუდვა შეესაბამებოდა ამ უფლებას. შესაბამისად სასამართლო განიხილავს მოცემულ საქმეს მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

B. მთავრობის პირველადი პრეტენზია

1. მხარეთა მოსაზრებები

(ა) მთავრობა

46. მთავრობა შეედევა განმცხადებლის დაზარებულის სტატუსს ორივე საჩივრის მიხედვით, აღნიშნავდა რა რომ ისინი გახლდათ აცტუო პოპულარის საჩივრები. მთავრობის მოსაზრების თანახმად განმცხადებელმა ვერ შეძლო ეჩვენებინა რომ მასზე პირდაპირ იმოქმედა სადავო შენიშვნებმა და მოსაზრებებმა.

(ბ) განმცხადებელი

47. განმცხადებლის განცხადებით მისი ბოშის წარმომავლობის გამო საკამათო შენიშვნებმა და გამონათქვამებმა, რომლებიც მოცემულია წიგნსა და ლექსიკონში გამოიწვიეს მისთვის მატერიალური და არამატერიალური ზიანი. ის შესაბამისად

მიიჩნევს საკუთარ თავს კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებულად.

(ვ) მესამე მხარე

48. საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორმა განაცხადა რომ იმ ეთნიკური ჯგუფის ნებისმიერ წევრს, რომელიც სავარაუდოდ გახდა ზოგადად რასაზე დაფუძნებული დისკრიმინაციული შეფასებების მსხვერპლი აქვს დაზარალებულის სტატუსი, რადგან აღნიშნული შეფასებები ქმნიან ცრურწმენას მოცემული ჯგუფის თითოეული წევრის მიმართ. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ სასამართლოს მხრიდან დაცვა არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები ვიდრე ეს ადგილობრივი სისტემით არის: როდესაც პირის დაზარალებულის სტატუსი აღიარებულ იქნა ადგილობრივად, ის არ უნდა იყოს უარყოფილი სტრასბურგის სასამართლოს მიერ.

2. პალატის გადაწყვეტილება

49. პალატამ მიიჩნია რომ მიუხედავად იმისა რომ განმცხადებელის მიმართ არ იყო პირადად თავდასხმა არც მოცემული წიგნში და არც ლექსიკონებში მას შეეძლო მოეხდინა ინიცირება კომპენსაციის პროცედურების და არსებითად ეწარმოა საქმე ადგილობრივ სასამართლოებში, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 24-ე და 25-ე მუხლების მიხედვით (იხილეთ 35-ე პუნქტი ზემოთ). ამის შედეგად, პალატა მიიჩნევს რომ განმცხადებელს ქონდა დაზარალებულის სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

3. სასამართლოს შეფასება

50. სასამართლო იმეორებს რომ იმისათვის რათა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან პირთა ჯგუფმა წარადგინოს საჩივარი მათ უნდა შეძლონ დაამტკიცონ რომ ისინი არიან კონვენციაში მოცემული უფლების დარღვევის მსხვერპლნი. იმისათვის რომ დამტკიცდეს რომ პირი არის კონვენციის დარღვევის მსხვერპლი მასზე პირდაპირი გავლენა უნდა მოახდინოს სადავო ქმედებამ: კონვენცია შესაბამისად არ ითვალისწინებს აცტიო პოპულარის წარდგენას

კონვენციაში მოცემული უფლებების ინტერპრეტაციისთვის ან პირისათვის შესაძლებლობის მიცემა იჩივლონ ეროვნული კანონის დებულებების გამო თუ ისინი, მიუხედავად იმისა რომ მათზე უშუალოდ ის არ ვრცელდება, მიიჩნევენ რომ დებულებები ეწინააღმდეგება კონვენციას (იხილეთ *Burden*, ზემოხსენებული საქმე § 33, და *Tănase v. Moldova* [GC], no. 7/08, § 104, ECHR 2010 ...).

51. შესაბამისად, დაზარალებულის არსებობა, რომელზეც პერსონალურად იმოქმედა კონვენციის უფლების სადავო დარღვევამ გახლავთ შეუცვლელი კონვენციის დაცვის მექანიზმის ამოქმედებისთვის, თუმცა ეს კრიტერიუმი არ უნდა იქნეს გამოყენებული უხეში ან ხისტი ფორმით (იხილეთ *Bitenc v. Slovenia* (dec.), no. 32963/02, 18 მარტი 2008). საკითხი თუ რამდენად განმცხადებელმა შეიძლება იდავოს რომ ის გახლავთ კონვენციის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი რელევანტურია კონვენციის საფუძველზე პროცედურის ყველა სტადიაზე (იხილეთ *Burdov v. Russia*, no. 59498/00, § 30, ECHR 2002 III).

52. სასამართლო იმეორებს რომ ის განმარტავს „დაზარალებულის“ კონცეფციას ავტონომიურად და ადგილობრივი კონცეპციების, როგორცაა ინტერესისა და ქმედების განხორციელების შესაძლებლობის, მიუხედავად (იხილეთ *Sanles Sanles v. Spain* (dec.), no. 48335/99, ECHR 2000 XI), თუმცა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი რომ განმცხადებელი გახლდათ მხარე ადგილობრივ პროცესში (იხილეთ *Micallef v. Malta* [GC], no. 17056/06, § 48, ECHR 2009 ...).

53. სასამართლო მიიჩნევს რომ მოცემულ საქმეში, განმცხადებელი, რომელსაც აქვს ბოშა წარმომავლობა, ასაჩივრებდა შენიშვნებს და გამონათქვამებს, რომლების სავარაუდოდ აკნინებდნენ ბოშა საზოგადოებას. მართალია განმცხადებელს პირადად ისინი არ შეხებია; მას, ამავე დროს, შეეძლო ეგრძნო თავი შეურაცხყოფილად იმ შენიშვნების გამო, რომელიც ეხებოდა ეთნიკურ ჯგუფს, რომელსაც ის წარმოადგენს. მეტიც, სადავოდ არ გამხდარა ადგილობრივი წარმოების დროს განმცხადებლის სასამართლოსადმი მიმართვის საკითხი. შესაბამისად, მისი საქმე არსებითად განხილულ იქნა ორ ინსტანციაში.

54. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმ საჭიროებით რომ მოხდეს დაზარალებულის სტატუსის გამოყენება მოქნილად, სასამართლო ეთანხმება რომ განმცხადებელი, თუმცა პირდაპირ არ იყო გასაჩივრებული დებულებების მსხვერპლი, შეიძლება

განხილულ იქნეს დაზარალებულად კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის წინასწარ მოსაზრებას იმის თაობაზე რომ განმცხადებელს არ ქონდა დაზარალებულის სტატუსი.

ჩ. საქმის არსებითი მხარე

1. საჩივარი ნო. 4149/04

(ა) მხარეთა მოსაზრებები

(ი) განმცხადებელი

55. განმცხადებელი აცხადებდა რომ “თურქეთის ბოშების” წიგნის რიგი ნაწილები შეიცავდნენ შენიშვნებს და განცხადებებს, რომლებიც აკნინებდნენ ბოშა საზოგადოებას. კონკრეტულად მან მიუთითა წიგნის იმ თავზე, რომელიც ითვალისწინებდა ინფორმაციას ბოშა მოსახლეობის ცხოვრების წესთან დაკავშირებით, რომელიც ცხოვრობენ თურქეთის რიგ ქალაქებში და კერძოდ კი მათი შესაძლო მონაწილეობაზე არალეგალურ მოქმედებებში (იხილეთ მე-12 პუნქტი ზემოთ). განმცხადებლის მიხედვით ავტორთა საერთო განზრახვა არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან ეს ნაწილები თავისთავად წარმოადგენს ბოშა საზოგადოების ნათელ შეურაცყოფას. მან აგრეთვე გამოხატა მისი უკმაყოფილება ადგილობრივ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მისი კომპენსაციის შესახებ მოთხოვნის უარის თქმის შესახებ.

(იი) მთავრობა

56. მთავრობამ განაცხადა რომ წიგნი გამოცემულ იქნა კულტურის სამინისტროს მიერ გამომცემლობათა მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. მრჩეველთა საბჭოს ანგარიშის მიხედვით განსახილველი წიგნი გახლდათ შედეგი აკადემიური კვლევის, რაც მომზადებულ იქნა როგორც კონტრიბუცია თურქეთში ეთნიკურ კვლევებში. მან წარმოადგინა ინფორმაცია ბოშა საზოგადოების წარმომავლობის შესახებ, მათი ენის, ტრადიციების, რწმენების, ფესტივალების, სამზარეულოს,

ჩაცმულობის, მუსიკისა და ცხოვრების პირობების შესახებ. მთავრობამ განაცხადა რომ განმცხადებლის შენიშვნის შემდეგ წიგნი შესწავლილ იქნა კიდევ ერთხელ უნივერსიტეტის წარმდენი პროფესორის მიერ, რომელთა შეფასებითაც ის არ შეიცავდა არანაირ შეურაცხყოფელ განცხადებებს. საბოლოოდ, მთავრობამ განაცხადა რომ კულტურის სამინისტრო მუშაობდა აქტიურად ბოშა კულტურის და ტრადიციების პოპულარიზაციისთვის.

(ბ) პალატის გადაწყვეტილება

57. პალატამ დაადგინა რომ მიუხედავად იმისა რომ განმცხადებლის მიერ ციტირებული წიგნის ამონარიდები და შენიშვნები, თუ ისინი წაკითხული იქნება ცალ ცალკე, ჩანს როგორც დიკრიმინაციული და შეურაცხყოფელი, მაგრამ როდესაც წიგნი შესწავლილ იქნა ერთიანად შეუძლებელი იყო იმ დასკვნის გამოტანა, რომ ავტორი მოქმედებდა ბოროტი განზრახვით ან გააჩნდა განზრახვა შეურაცხყოფა მიეყენებინა ბოშა საზოგადოებისთვის. პალატამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წიგნის დასკვნას, სადაც ავტორმა ნათლად განაცხადა რომ “ბოშები თურქეთში” იყო აკადემიური კვლევა, რომლის დროსაც მოხდა შედარებითი ანალიზი და ფოკუსირება ბოშა მოსახლეობის თურქეთში ისტორიულ და ცხოვრების სოციო-ეკონომიკურ პირობებზე. პალატამ დაასკვნა რომ ავტორმა მიუთითა ბოშა მოსახლეობის მიკერძოებულ შეფასებებზე, რათა დემონსტრირება მოეხდინა მოსახლეობაში ბოშა საზოგადოების შესახებ შეხედულებებზე. ამის შედეგად პალატამ დაადგინა რომ ადგილი არ ქონია განმცხადებლის კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას.

(გ) სასამართლოს შეფასება

(ი) კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენება

58. სასამართლო იმეორებს რომ “პირადი ცხოვრების” არსი კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით გახლავთ ფართო ტერმინი რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ დეფინიციას. პერსონალური თავისუფლების ცნება არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება მე-8 მუხლით გათვალისწინებული

გარანტიების ინტერპრეტაცია. ის შესაბამისად მოიცავს პირის ფიზიკური და სოციალური იდენტურობის მრავალმხივ ასპექტს. სასამართლო დამატებით იმეორებს რომ მან წარსულში აღიარა რომ ინდივიდის ეთნიკური იდენტობა უნდა განხილულ იქნეს როგორც ერთ ერთი ასეთი ელემენტი (იხილეთ *S. and Marper v. the United Kingdom* [GC], nos. 30562/04 და 30566/04, § 66, 4 დეკემბერი 2008, და *Ciubotaru v. Moldova*, no. 27138/04, § 49, 27 აპრილი 2010). კერძოდ, ნებისმიერ ნეგატიურ სტერეოტიპს ჯგუფის, როდესაც ის აღწევს გარკვეულ დონეს, შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯგუფის შიდენტურობის განცდაზე და ჯგუფის წევრების თვითმკვიდრობის და თვითრწმენის განცდაზე. ეს არის ის ის შემთხვევა როდესაც განიხილება რომ მან შეიძლება გავენა მოახდინოს ჯგუფის წევრების პირად ცხოვრებაზე.

59. მეტიც, როდესაც მე-8 მუხლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ინდივიდების დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, ის არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკანონ ჩარევისაგან: ამ ნეგატიური ვალდებულებასთან ერთად შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება რომელსაც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ეფექტური პატივისცემა. აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ისეთი ღონისძიებების მიღებას, რომლებიც შემნილია პირადი ცხოვრების დაცვისათვის, მათ შორის ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროშიც (იხილეთ *Tavlı v. Turkey*, no. 11449/02, § 28, 9 ნოემბერი 2006, და *Ciubotaru*, ზემოხსენებული საქმე, § 50).

60. წარმოდგენილი საქმის გარემოებებზე დაბრუნებით, სასამართლო აღნიშნავს რომ განმცხადებელმა, რომელსაც აქვს ბოშა წარმომავლობა, თავი იგრძნო შეურაცხყოფილად “თურქეთის ბოშების” წიგნის რიგი ნაწილებით, რომლებიც შეეხო ბოშა საზოგადოებას. მან შესაბამისად, ინიცირება მოახდინა სამოქალაქო სამართალწარმოების წიგნის ავტორის და კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ (იხილეთ პუნქტები 19-25 ზემოთ). შესაბამისად აღნიშნულ საქმეში იხილება პუბლიკაცია, რომელიც სავარაუდოდ ეფექტი აქვს იმ ჯგუფის იდენტურობაზე, რომელსაც განმცხადებელი ეკუთვნის და შესაბამისად მის პირად ცხოვრებაზე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს რომ მიუხედავად იმისა რომ “თურქეთის ბოშები” გამოცემულ იქნა კულტურის სამინისტროს მიერ (იხილეთ მე-10 პუნქტი ზემოთ), ამ უკანასკნელმა შემდეგ დაუბრუნა საავტორო უფლებები წიგნის

ავტორს (იხილეთ მე-17 პუნქტი ზემოთ). მეტიც, განმცხადებელს არ წარუდგენია საჩივარი ანკარის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც უარყო მისი ადმინისტრაციული საჩივარი კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ (იხილეთ 25-ე პუნქტი ზემოთ). მან შესაბამისად არ გააგრძელა მისი საქმე სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ მათ მიერ გამოცემის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

61. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია რომ ძირითადი საკითხი რომელიც წარმოჩენილია წარმოდგენილ საჩივარში არის არა ის თუ რამდენად ჰქონდა ადგილი პირდაპირი ჩარევას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლის პირად ცხოვრებაში, არამედ ის თუ რამდენად შეასრულეს ხელისუფლების ორგანოებმა მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება - განმცხადებლის პირად ცხოვრებაში მესამე მხარის მიერ, კერძოდ წიგნის ავტორის მხრიდან, შესაძლო ჩარევისაგან დასაცავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო ეცდება დაადგინოს, რამდენად კონვენციის მე-8 მუხლის თვალსაზრისით, თურქულ სასამართლებს უნდა დაეკმაყოფილებინათ განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელი, მისთვის მორალური ზიანისთვის თანხის დაკმაყოფილების და წიგნის დისტრიბუციის აკრძალვის შესახებ.

(იი) კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობა

(α) ზოგადი პრინციპები

62. სახელმწიფოს პოზიური და ნეგატიურ ვალდებულებათა შორის საზღვარი მე-8 მუხლის მიხედვით არ უშვებს კონკრეტულ დეფინიციას. გამოყენებადი პრინციპები ამავე დროს არის მსგავსი. ორივე კონტექსტში, ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიან ბალანსზე, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ინდივიდის და საზოგადოების, როგორც მთლიანის ინტერესებს შორის; და ორივე კონტექსტში სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული შეფასების ფარგლები (იხილეთ, სხვა ბევრ წყაროებთან ერთად, *Keegan v. Ireland*, 26 მაისი 1994, § 49, Series A no. 290; *Botta v. Italy*, 24 თებერვალი 1998, § 33, Reports of Judgments and Decisions 1998 I; *da Gurgenidze v. Georgia*, no. 71678/01, § 38, 17 ოქტომბერი 2006).

63. ისეთ საქმეებში როგორც ესაა, სადაც საჩივარი ითვალისწინებს რომ მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევა მოხდა სხვათა მიერ მათი გამოხატვის თავისუფლების უფლების გამოყენების შედეგად, შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს, როდესაც ხდება მე-8 მუხლის გამოყენება, კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (იხილეთ, ასე მაგალითად *mutatis mutandis*, *Von Hannover v. Germany*, no. 59320/00, § 58, ECHR 2004 VI). შესაბამისად, მოცემულ საქმეებში სასამართლოს სჭირდება უზრუნველყოს ბალანსი განმცხადებლის უფლების “პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ” გამოხატვის თავისუფლების დაცვის საჯარო ინტერესების წინააღმდეგ, იმის გათვალისწინებით რომ არ არსებობს არანაირი იერარქიული კავშირი ორი მუხლის მიერ გარანტირებულ უფლებებს შორის (იხილეთ *Timciuc v. Romania* (dec.) no. 28999/03, § 144, 12 ოქტომბერი 2010).

64. მოცემულ კონტექსტში სასამართლო კვლავ აღნიშნავს რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს დემოკრატიული საზოგადოებისთვის. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, აღნიშნული უფლება გამოიყენება არა მარტო იმ “ინფორმაციის” თუ “იდეების” მიმართ რომლებიც ხელსაყრელად მიიღება ან მიიჩნევა როგორც არაშეურაცხმყოფელი ან უმნიშვნელო, არამედ აგრეთვე ისეთის მიმართ, რომელიც შეურაცხმყოფელია, შოკირებადია და შემაწუხებელი. ასეთია მოთხოვნები პრულარიზმის, ტოლერანტობის და ფართო აზროვნების რომლის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება (იხილეთ, სხვა წყაროებთან ერთად, *Handyside v. the United Kingdom*, 7 დეკემბერი 1976, § 49, Series A no. 24, *da Reinboth and Others v. Finland*, no. 30865/08, § 74, 25 იანვარი 2011). მოცემული თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომელიც მოცემულია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, რაც ამავე დროს მკაცრად უნდა განხორციელდეს. ნებისმიერი შეზღუდვის საჭიროება უნდა შესაბამისად დადასტურდეს დამაჯერებლად (იხილეთ, ასე მაგალითად *Lingens v. Austria*, 8 July 1986, § 41, Series A no. 103, *Nilsen and Johnsen v. Norway* [GC], no. 23118/93, § 43, ECHR 1999 VIII).

65. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით ხელმომწერ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული შეფასების ფარგლები იმის განსაზღვრისას თუ რამდენად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა

“აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში”. ამავე დროს, მოცემული შეფასების ფარგლები მოქმედებს ევროპული ზედამხედველობასთან ერთად, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ასევე მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებს, მათ შორის გამოტანილს დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ (იხილეთ *Tammer v. Estonia*, no. 41205/98, § 60, ECHR 2001 I; *Peck v. the United Kingdom*, no. 44647/98, § 77, ECHR 2003 I; and *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*, no. 53678/00, § 38, ECHR 2004 X). სასამართლოს ფუნქცია მისი მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების მიერ არ არის ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ადგილის დაკავება, არამედ იმ გადაწყვეტილებების განხილვა, საქმის ერთიანობის გათვალისწინებით, რომლებიც მიღებულ იქნა სახელმწიფოების მიერ მათი შეფასების თავისუფლების ფარგლებში (იხილეთ *Petrenco v. Moldova*, no. 20928/05, § 54, 30 მარტი 2010; *Polanco Torres and Movilla Polanco v. Spain*, no. 34147/06, § 41, 21 სექტემბერი 2010; და *Petrov v. Bulgaria* (dec.), no. 27103/04, 2 ნოემბერი 2010).

66. მსგავს საქმეებში სასამართლომ შესაბამისად დაუკავშირა დიდი მნიშვნელობა იმ ფაქტს რომ ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა იდენტიფიცირება გაუკეთეს კონფლიქტურ უფლებებს და მათ შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის საჭიროებას (იხილეთ, ასე მაგალითად *mutatis mutandis*, *Tammer* –ის ზემოხსენებული საქმე, § 69; *White v. Sweden*, no. 42435/02, § 27, 19 სექტემბერი 2006; *Standard Verlags GmbH v. Austria* (no. 2), no. 21277/05 § 52, 4 ივნისი 2009; *Lappalainen v. Finland* (dec.), no. 22175/06, 20 იანვარი 2009; ანდ *Papaianopol v. Romania*, no. 17590/02, § 30, 16 მარტი 2010).

67. თუ ეროვნული სასამართლო ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი ბალანსი არ არის დამაკმაყოფილებელი, კერძოდ იმის გამო რომ განსახილველი ერთი ფუნდამენტური უფლების მნიშვნელობა ან არსი შესაბამისად არ იქნა განხილული, შეფასების ფარგლები მინიჭებული ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ იქნება ვიწრო. ამასთან ერთად, თუ შეფასება მოხდა იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც გამომდინარეობენ მისი კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლიდან, სასამართლო მოითხოვს ძლიერ მიზეზებს იმისათვის რომ შეცვალოს მისი მოსაზრება ადგილობრივი სასამართლოების მოსაზრებებით, რომლებიც შედეგად

ისარგებლებენ შეფასების ფართო ფარგლებით (იხილეთ MGN Limited v. the United Kingdom, no. 39401/04, §§ 150 და 155, 18 იანვარი 2011, და Von Hannover v. Germany (no 2) [GC], nos. 40660/08 და 60641/08, § 107, 7 თებერვალი 2012).

68. ყველაფერი ეს გულისხმობს რომ ეფექტური სამართლებრივი სისტემა არსებობდა და მოქმედებდა იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც ხვდებიან “პირადი ცხოვრების” ცნების ქვეშ და ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლისათვის (იხილეთ Karakó v. Hungary, no. 39311/05 § 19, 28 აპრილი 2009). ეს აგრეთვე უნდა განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ.

(β) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

69. მოცემულ საქმეში ადგილობრივი სასამართლოები მოწოდებულ იყვნენ დაეცვათ სამართლიანი ბალანსი განმცხადებლის კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, როგორც ბოშა საზოგადოების წევრის და წიგნის ავტორის თავისუფლება რომ განახორციელოს აკადემიური/სამეცნიერო კვლევა კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფზე და გამოსცეს მისი შედეგები. განმცხადებელი აღნიშნავდა რომ წიგნი და კონკრეტულად მისი თავი რომელის მოიცავს ინფორმაციას თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ბოშას ცხოვრების პირობების შესახებ, წარმოადგენს შეურაცხყოფას ბოშა საზოგადოების მიმართ. ამ მოსაზრების უარყოფის დროს თურქეთის სასამართლოს ორ დონეზე სასამართლოები დაეყრდნენ ინტერ ალია, შვიდი უნივერსიტეტის პროფესორის მიერ მომზადებულ ანგარიშს, რომელმაც დაადგინა რომ დავის საგანი - წიგნი გახლდათ აკადემიური ნაშრომი დაფუძნებული სამეცნიერო კვლევაზე (იხილეთ პუნქტი 25 ზემოთ). მათი მოსაზრებით შენიშვნები და განმარტებები არ იყო შეურაცხმყოფელი, ქონდათ ზოგადი ხასიათი, არ ეხებოდა ყველა ბოშას და არ წარმოადგენდა განმცხადებლის იდენტობაზე თავდასხმას (იხილეთ 21-ე და 23-ე პუნქტები ზემოთ). მეტიც, ანკარის ზოგადი განსჯადობის სამოქალაქო სასამართლომ დაადგინა რომ წიგნი იხილავს ბოშათა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას და ეფუძნება სამეცნიერო მონაცემებს (იხილეთ 21-ე პუნქტი ზემოთ).

70. სასამართლოს მოსაზრებით მოცემული დასკვნები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უსაფუძვლო ან რელევანტური

ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ითქვას რომ მიუხედავად იმისა რომ ავტორი უთითებს გარკვეულ უკანონო მოქმედებებზე გარკვეულ ადგილებში მცხოვრებ ბოშათა საზოგადოების ზოგიერთი წევრის მხრიდან, არსად წიგნში იგი არ აკეთებს უარყოფით შეფასებას ბოშა საზოგადოების მიმართ ზოგადად და არ ამტკიცებს რომ ბოშათა საზოგადოების ყველა წევრი ჩართული იყო უკანონო საქმიანობაში. მეტიც, წიგნის სხვადასხვა ნაწილში, კერძოდ, წინსართში, შესავალში და დასკვნაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს პირდაპირ რომ მისი განზრახვა იყო ნათელი მოეფინა თურქეთში ბოშა საზოგადოების უცნობი ცხოვრებისთვის, რაც გახდა ოსტრაციზმის მსხვერპლი და დამაკნინებელი შეფასებების მსხვერპლი, რომელიც დაფუძნებული იყო ცრურწმენებზე (მე-10, მე-11 და მე-13 პუნქტები ზემოთ). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რომ ავტორის განცხადებები არ იყო გულწრფელი ხოლო ადგილობრივმა სასამართლოებმა კი დაადგენეს რომ განმცხადებელი არ ხელმძღვანელობდა რასისტული განზრახვებით (იხილეთ *mutatis mutandis*, *Jersild v. Denmark*, 23 სექტემბერი 1994, § 36, Series A no. 298).

71. მეტიც, მიუხედავად გარკვეულწილად ლაკონური ფორმისა როგორც ზოგიერთი მათგანია წარმოდგენილი, არგუმენტები რომლებიც მოცემულ იქნა ადგილობრივი სასამართლოების მიერ მათ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით შეესაბამებოდა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ პრინციპებს. კერძოდ, თურქულმა სასამართლოებმა მნიშვნელობა მიანიჭეს იმ ფაქტს რომ წიგნი დაიწერა მეცნიერის მიერ და შესაბამისად განხილულ უნდა ყოფილიყო, როგორც აკადემიური ნაშრომი. მის უკანასკნელ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა მსგავსი ნაშრომების მნიშვნელობა (იხილეთ *Sorguç v. Turkey*, no. 17089/03, §§ 21-35, ECHR 2009 ... (ამონარიდები), და *Sapan v. Turkey*, no. 44102/04, § 34, 8 ივნისი 2010). ხსენებულიდან გამომდინარე ეს შეესაბამება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს რომ მეცნიერების მიერ კვლევის განხორციელება და შესაბამისი დასკვნების გამოცემის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა დაექვემდებაროს მკაცრ შეფასებას.

72. აგრეთვე ისიც შეესაბამება სასამართლოს მიდგომას რომ სადავო ნაწილები არ იქნეს განხილული იზოლირებულად, არამედ წიგნის ერთიან კონტექსტში და მხედველობაში იქნეს მიღებული გამოცემის ავტორის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ყურადღებას ამახვილებს რომ ავტორმა განმარტა რომ მან მოიპოვა ინფორმაცია ბოშათა საზოგადოების წევრებისგან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან და პოლიციისგან. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ის ცხოვრობდა ბოშათა საზოგადოებაში რათა შეესწავლა მათი ცხოვრების წესი სამეცნიერო დაკვირვების პრინციპის საფუძველზე (იხილეთ მე-11 პუნქტი მაღლა).

73. მეტიც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური სამართლებრივი სისტემა მოქმედებდა იმ უფლებების დასაცავად, რომლებიც ხვდებიან „ოჯახური ცხოვრების“ ცნების ქვეშ და გამოიყენებოდა განმცხადებლის მიმართ ამ საქმეში (იხილეთ 68-ე პუნქტი ზემოთ). განმცხადებელს შეეძლო წარედგინა მისი საქმე იურისდიქციის ორ დონეზე და მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილებები მის საჩივართან დაკავშირებით. ამასთან ერთად, როდესაც მან წარადგინა საჩივარი კულტურის სამინისტროში, როგორც დამცველი ღონისძიება კულტურის სამინისტრომ გასცა ბრძანება წიგნის დარჩენილი 299 ასლის ამოღების შესახებ და საავტორო უფლება დაუბრუნდა ავტორს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე (იხილეთ მე-15 და მე-17 პუნქტები ზევით).

74. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო დარწმუნდა რომ თურქულმა სასამართლოებმა, კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლით გათვალისწინებული კონფლიქტში მყოფი უფლებების დაბალანსების დროს მოახდინეს შეფასება ევროპის სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე პრინციპების საფუძველზე.

75. ამის მიუხედავად სასამართლო იმერეობს რომ ბოშების მოწყვლადი მდგომარეობა გულისხმობს რომ სპეციალური მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული მათი საჭიროებებისა და მათი განსხვავებული ცხოვრების მიმართ, როგორც რელევანტურ მარეგულირებელ ჩარჩოში, ასევე კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს (იხილეთ Chapman, ზემოხსენებული საქმე, § 96, და D.H. and Others, ზემოხსენებული საქმე, § 181). სასამართლო აგრეთვე ეთანხმება ECRI დასკვნებს (იხილეთ 38-ე პუნქტი ზემოთ) იმის თაობაზე რომ მთავრობამ

უნდა წარმართოს საქმიანობა ბოშათა ნეგატიური სტერეოტიპების დასამარცხებლად.

76. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ საქმეში თურქეთის ხელისუფლების ორგანოებმა არ გადააბიჯეს მათ შეფასების ფარგლებს და არ გაუკეთეს იგნორირება მათ პოზიტიურ ვალდებულებას განმცხადებლის პირადი ცხოვრების ეფექტიანად დაცვასთან დაკავშირებით.

77. შესაბამისად ადგილი არ ქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას no. 4149/04 საჩივართან მიმართებაში.

2. საჩივარი no. 41029/04

(ა) მხარეთა მოსაზრებები

(ი) განმცხადებელი

78. განმცხადებელი აცხადებდა რომ ორ სადავო ლექსიკონში მოცემული გამონათქვამები, რომლებიც გამოცემულ იქნა თურქული ენის ასოციაციის მიერ გახლდათ შეურაცხმყოფელი ბოშათა საზოგადოების მიმართ. კერძოდ, მან მიუთითა ტერმინ „ბოშად გახდომაზე“, რომელიც განმარტებულ იქნა როგორც „მუნწი ხასიათის გამოვლენა“ და აღნიშნა რომ მოცემული დეფინიციები ამოღებულ უნდა ყოფილიყო ლექსიკონიდან.

(იი) მთავრობა

79. მთავრობამ განაცხადა რომ სიტყვები და გამონათქვამები, რომელსაც მოიცავს ლექსიკონები, დაფუძნებულ იქნა ისტორიულ და სოციოლოგიურ ფაქტებზე და არ არსებობდა ბოშა საზოგადოების დაკნინების არანაირი განზრახვა. მთავრობამ დამატებით აცნობა სასამართლოს რომ კულტურის სამინისტრომ განახორციელა ფინანსური კონტრიბუცია 2,700 ევროს სახით ლექსიკონების გამოსაცემად 1991 და 1998 წლებში. ამასთან, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა რომ სკოლის მოსწავლეთა ლექსიკონი არ გახლდათ სკოლის სახელმძღვანელო და არ მომხდარა მისი დისტრიბუცია სკოლებში ან რეკომენდირებული განათლების სამინისტროს მეორე სასკოლო პროგრამისათვის. ბოლოს, მთავრობამ აღნიშნა რომ მოცემული ლექსიკონები არ იქნა

ხელმეორედ დაბეჭდილი და რეალურად აღარ არსებობდა მათი ასლები.

(ბ) პალატის გადაწყვეტილება

80. პალატამ კონკრეტულად ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე რომ დეფინიციებს, რომლებიც მოცემული იყო ლექსიკონებში, წინ უძღოდა მითითება რომ მათი გამოყენება იყო „მეტაფორული“. მან შესაბამისად დაადგინა რომ მოცემული გამონათქვამებს არ შეეძლოთ განმცხადებლის ეთნიკური იდენტობისთვის ზიანის მიყენება. ამის შედეგად, პალატამ დაადგინა რომ ადგილი არ ქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

(გ) სასამართლოს შეფასება

81. სასამართლო დასაწყისში აღნიშნავს რომ განმცხადებელი განიხილავს საკუთარ თავს ლექსიკონებში მოცემული გარკვეული ჩანაწერების სახით ნეგატიური სტერეოტიპების მსხვერპლად. შესაბამისად ზემოთ მოცემულ მე-60 პუნქტში მოცემული მიზეზების გამო კონვენციის მე-8 მუხლი გამოიყენება. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა რომ ლექსიკონების გამოცემა ნაწილობრივ დაფინანსდა კულტურის სამინისტროს მიერ, განმცხადებელმა სამოქალაქო საჩივარი წარადგინა მხოლოდ ენის ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ და არ დაუწყია რაიმე ადმინისტრაციული წარმოება სამინისტროს წინააღმდეგ ადგილობრივ სასამართლოებში (იხილეთ 31-ე და 34-ე პუნქტები ზემოთ). შესაბამისად, როგორც # 4149/04 საჩივრის შემთხვევაში (იხილეთ მე-60 და 61-ე პუნქტები ზემოთ), სასამართლო განიხილავს, 62-68 პუნქტებში მოცემული ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რამდენად მთავრობამ უზრუნველყო მისი პოზიტიური ვალდებულება მე-8 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების დასაცავად მესამე მხარის, კერძოდ ენის ასოციაციის მხრიდან სავარაუდო ჩარევისაგან.

82. განმცხადებლის მოთხოვნის უარყოფის დროს ანკარის სამოქალაქო სასამართლომ განაცხადა რომ დეფინიციები და გამონათქვამები ლექსიკონებში დაფუძნებული იყო ისტორიულ და სოციოლოგიურ რეალობაზე და არ არსებობდა რაიმე განზრახვა

ბოშა საზოგადოების დამცირების თუ დაკნინების. მან დამატებით აღნიშნა, რომ არსებობდა თურქულში მსგავსი გამონათქვამები სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით, რაც მოცემული იყო ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში (იხილეთ 33-ე პუნქტი ზემოთ).

83. შესაბამისად, ადგილობრივმა სასამართლომ განიხილა სადავო მონაცემები იმის დასადგენად რამდენად კანონიერი იყო განმცხადებლის კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევა. ამის განხორციელების დროს მან გამოიყენა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული პრინციპები (იხილეთ 66-ე პუნქტი ზემოთ).

84. ამასთან კავშირში სასამართლო აღნიშნავს რომ ლექსიკონი არის ინფორმაციის წყარო რომელიც მოიცავს ენის სიტყვების სიას და წარმოადგენს სხვადასხვა მნიშვნელობას, რომელთა შორის ძირითადი არის მარტივად განმარტებითი ან პირდაპირი მნიშვნელობა, ხოლო სხვები შეიძლება იყოს ფიგურალური, ალეგორიული ან მეტაფორული. ის გამოხატავს ენას რომელსაც იყენებს საზოგადოება. ორივე ლექსიკონში სიტყვა “ჭინგენე” (“ბოშა”) პირდაპირი განმარტება მოცემული იყო 279-ე გვერდზე. შესაბამისად ნათელია რომ ლექსიკონები ზომამში მნიშვნელოვანი იყო და განზრახული იყო მოეცვა მთლიანად თურქული ენა. სასამართლო აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს სიტყვა „ბოშის“ პირველ დეფინიციასზე რომელიც მოცემულია აღნიშნულ ლექსიკონებში და რომლის მიხედვით: „ეთნიკური ჯგუფი ან პირი რომელიც მიეკუთვნება ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც წარმოშობილია ინდოეთიდან, რომელთა წევრებიც ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას და ფართოდ გავრცელდნენ მსოფლიოში.“ როგორც მეორე მნიშვნელობა აღნიშნა რომ მეტაფორული გაგებით სიტყვა „ბოშა“ აგრეთვე გულისხმობდა „ძუნწს“ (იხილეთ 28-ე პუნქტი ზემოთ). იგივე გვერდზე ლექსიკონები იძლევიან დამატებით დეფინიციებს ბოშებზე რიგ გამონათქვამებს, როგორიცაა „ბოშის ფული“ და „ბოშის ვარდისფერი“. სასამართლო აღნიშნავს რომ როგორც ანკარის სამოქალაქო სასამართლომ მიუთითა მოცემული გამონათქვამები არის ზეპირი თურქულის ნაწილი.

85. მიუხედავად იმისა რომ მათ აქვთ ანალოგიური შინაარსი, ლექსიკონებს აქვთ განსხვავებული სამიზნე აუდიტორია და მეორე ლექსიკონის სათაური არის „თურქულის ლექსიკონი სკოლის

მოსწავლეებისათვის“. ნათელია რომ ლექსიკონში რომელიც განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისათვის უფრო მეტი სიფრთხილე უნდა იქნას გამოყენებული როდესაც ხდება ისეთი დეფინიციების წარმოდგენა, რომლებიც არის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, მაგრამ რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა შეიძლება იყოს დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი. სასამართლოს მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა მოცემული გამონათქვამები დასათაურებულიყო, როგორც „დამამცირებელი“ ან „შეურაცხყოფელი“ და არა მარტო ის აღნიშნულიყო რომ ისინი არიან მეტაფორული. აღნიშნული მიდგომა აგრეთვე იქნებოდა შესაბამისი ECRI-ის #. 10 ზოგად რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ კრიტიკული აზროვნების უნარი სკოლის მოსწავლეებს შორის და აღჭურვონ ისინი აუცილებელი უნარ ჩვევებით რათა მათ შეძლონ გაიაზრონ და რეაგირება მოახდინონ სტერეოტიპებზე და არატოლერანტობის ელემენტებზე იმ მასალებში, რომლებსაც ისინი იყენებენ (იხილეთ 39-ე პუნქტი ზემოთ).

86. ამასთან ერთად მხოლოდ ეს ელემენტი, რომ სადავო ლექსიკონი არ გახლდათ სკოლის სახელმძღვანელო ან რეკომენდირებული განათლების სამინისტროს მიერ სასკოლო პროგრამისთვის, არ არის საკმარისი ადგილობრივი სასამართლოების მოსაზრებით, მათ შორის იმის გათვალისწინებით (იხილეთ 79-ე პუნქტი ზემოთ).

87. ბოლოს კი, სასამართლო აღნიშნავს რომ განმცხადებლის საქმე ენის ასოციაციის წინააღმდეგ განხილულ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ ორ დონეზე (იხილეთ პუნქტები 31-34 ზემოთ). მიუხედავად იმისა რომ მოცემული საქმე საბოლოოდ უარყოფილ იქნა, სასამართლოსთვის საკმარისია ის ფაქტი რომ განმცხადებელს მიეცა ეფექტური დაკმაყოფილების საშუალება, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის მე-8 მუხლით.

88. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები არ გასცდნენ მათი შეფასების თავისუფლების ფარგლებს და არ დაურღვევიათ დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება რომ უზრუნველყოთ განმცხადებლის პირადი ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემა.

89. ხსენებულიდან გამომდინარე, ადგილი არ ქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას # 41029/04 საჩივართან დაკავშირებით.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო

1. უარყოფს, ერთხმად, მთავრობის პირველად პრეტენზიას და ადგენს რომ განმცხადებელი ითვლება 'მსხვერპლად' კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით.
2. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას #. 4149/04 საჩივართან მიმართებაში.
3. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას # 41029/04 საჩივართან მიმართებაში.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო სხდომაზე 2012 წლის 15 მარტს ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში.

მაიკლ ო'ბოილი
რეგისტრატორის მოადგილე

ნიკოლას ბრატუა
თავმჯდომარე

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს და სასამართლო არ კისრულობს რაიმე სახის პასუხისმგებლობას თარგმანის ხარისხზე. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC -ის პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან რომელსაც გააჩნია წვდომა სასამართლოს მონაცემთა ბაზაზე. თარგმანის გამოყენება შეიძლება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხსენიებული იქნება საქმის სრული დასახელება, ზემოხსენებული მითითება საავტორო უფლებისა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის შესახებ. იმ შემთხვევაში თუკი იგეგმება წინამდებარე თარგმანის რომელიმე ნაწილის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე publishing@echr.coe.int

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.